ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ოთხშაბათი
16 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი კი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი [illegible] ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ლინი 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების მიღება თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. დრო 4 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 242 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 242

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები და ახალი სარედაქციო კოლეგია.

წლიურათ გაზეთი ეღირება 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან.

დოკტორი მედიცინისა' პრივატ-დოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდის, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ქვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. (თ.)

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 14 დეკემბრიდან, ახალი პროგრამა მხოლოდ მოზრდილთათვის.
საუკუნეს შვილები.
კინო დრამა 4 ნაწილად მ. მიხაილოვის ორიგინალური სცენარიით. მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მსახიობნი ვ. ვ. ხოლოდნოისა და ა. ა. ვირუბოვისა.
როგორ დაწინაურდა ის!
საინტერესო კომედია ნორდისკის მხიარული სერიისა, კოროტიშკინის მონაწილ.
ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ამბები.
ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 დეკემბრიდან მეოთხე სერია **დაწყევლილი ბრილიანტი.** დრამა 4 ნაწილად საუკეთესო იტალიელ მსახიობების მონაწილეობით.

მოწოდება
ქუთაისის ქალაქის მოურავისა.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების რწმუნებული დეპეშით მაცნობებს, რომ ხსენებული განყოფილება კავკასიის ლაშქრის ჯარის კაცთათვის საშობაო საჩუქრების დიდს ტრანსპორტს აწყობს და მთხოვს, რომ აქაც დაუყონებლივ მოვაწყოთ მუშაობა საჩუქრების შესაკრებად ყველა საზოგადო ორგანიზაციებისა და ქალაქის მცხოვრებლების დახმარებით.

მოქალაქენო! თითოეული თქვენგანი ვალდებულია გამოეხმაუროს ამ მოწოდებას, რადგან საქმე შეეხება ჩვენს შვილებსა და ძმებს, რომელნიც ჩვენი სადმერთებელი სამშობლოსათვის, ჩვენი პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრიან.

დეე, ჩვენმა ძმებმა და შვილებმა, რომელნიც გულის საყვარელთ დაშორებულნი, ბნელსა და ნოტიო სანგრებში (თხრილებში) შეხვდებიან ქრისტეს შობის დიდ დღესასწაულს, იგრძნონ, რომ ყველა ჩვენი ფიქრი და გრძნობა მათკენაა მიმართული, რომ ჩვენ ყოველ წამში სიყვარულით და მადლობით ვიგონებთ მათ.

შემოსწირეთ ქისები (ტომსიკები), რომლებიც სავსე უნდა იქნეს შემდეგი საჩუქრებით: ცხვირსახოცებით, ფოშტის ქაღალდით, კარანდაშებით, საპნით, შაქრის-ყინულით, თუთუნითა და ასანთით („სპიჩკით“); მაგრამ ამასთან გახსოვდესთ, რომ თითოეულ ქისაში უნდა ეწყოს: ერთი ცხვირსახოცი, ხუთი ფურცელი ფოშტის ქაღალდი, 5 კონვერტი, ერთი კარანდაში, მეოთხედი გირვანქა შაქრის ყინული, მეოთხედი გირვანქა თუთუნი, ერთი კოლოფი ასანთი („სპიჩკა“) და ერთი ნაჭერი საპონი.

მსურველთ შეუძლიათ თითო საჩუქრის ნაცვლად შემოსწირონ ფულად თითო მანეთი. ამ შემოწირულ ფულითაც შემდეგი საჩუქრები იქნება შეძენილი.

შემოსწირეთ გულუხვათ და, რაც შეიძლება სიჩქარით, რადგან საჩუქრები ქუთაისიდან უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს ამა დეკემბრის 20 რიცხვისა.

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება ქალაქის გამგეობაში ქალაქის მდივნის დ. ნ. ავალიანის მიერ.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ი. მ. ჩიქოვანი.**

სანერგე ამერიკული ვაზის
„კლოქლურული“
ქუთაისში. კახიანაური, საკუთარი სახლი.
გვაქვს გასაყიდათ დამზადებული საკუთარ სანერგეში, იმერეთში, 300000 ძირი **ამერიკული ვაზისა ზიზრიდი, დამყნილი** და **დაუმყნელი.** საკუთარ ორ სანერგეში ფრანციაში დამზადებულია არა ნაკლები 800000 ძირისა, რომელიც მსურველს შეუძლია მოითხოვოს რუსეთში, თუ უკეთუ დაკვეთის ცნობას მარტამდი გაგზავნის.
პრეისკურანტი და ახსნა-დარიგება მეიძლება უფასოთ დაეთმობა. 10—2

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

რედაქციისაგან.

„სხვადასხვა, კერძო და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ჩვენი გაზეთი ამ ერთ კვირას არ გამოდიოდა. იმ ჯგუფს, რომელიც ჩვენი გაზეთის გარშემო შემოიკრიბა, მოლაპარაკება აქვს გამართული სააქციონერო გამომცემელ ამხანაგობის დაარსების შესახებ.

ვიდრე ეს ჯგუფი საქმეს მოაწყობდეს დიდათ პატივცემულმა თავადმა დავით იოსების ძე იაშვილმა საშუალება მოგვცა განვაახლოთ გაზეთის გამოცემა.

ვუძღვნით რა უღრმეს მადლობას პატივცემულ თავადს, იმედი გვაქვს დანარჩენი ჩვენი თანამოაზრენი და ხელის მომწერნი არ მოგვაკლებენ თავის თანაგრძნობას.

რედაქცია.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 12 დეკემბერი. ოფიციალური. ბუჩაჩის ჩრდილო-დასავლეთით 6 ვერსის მანძილზე მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ; იგი ცდილობდა ჩვენი თხრილების დაპყრობას. დანარჩენ რაიონში ჩვენმა მზვერავებმა უეცრივ თავდასხმით ხელთ იგდეს მოპირდაპირის სიმაგრე, და 21 კაცი დაატყვევეს, მტრის გაშმაგებულმა იერიშმა სიმაგრის დასაბრუნებლად უნაყოფოდ ჩაიარა.

13 დეკემბერი. ოფიციალური. სადგურ ჩარტორისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცმინის რაიონში გერმანელების მოდარაჯენი უკუვაქციეთ და მათ საშველად წამოსულ ჯარს გვერდით შევუტიეთ და დავამარცხეთ. მდ. იკვის ნაპირას სოფ. მურავიცის ჩრდილოეთით პუგაჩევკის რაიონში ჯარ შემოვერტყით გერმანელების მზვერავთა რაზმს და დავატყვევეთ. ბუჩაჩის ჩრდილოეთით ჩვენი რაზმი მოულოდნელად დაეცა სოფ. პეტლიკოვცეს, სადაც ავსტრიელების სადარაჯო იყო. შეტაკებაში ავსტრიელების ნაწილი დახვრიტეს და ნაწილი კი გაიქცა.

კავკასიის ასპარეზი.

ხოფის სამხრეთ—დასავლეთით, შავი-ზღვის ნაპირით ჩვენმა მატორიანმა გემმა, მიუხედავად მტერის სროლისა, ატინესთან დაატყვევა ოსმალების იალქნიანი გემი პურით დატვირთული და შვიდი შეიარაღებული ოსმალო.

რადგანაც უტყუარი ცნობები მოვიდა, სოფ. საობატ-ქიარიმში, თეირანიდან სამხრეთ-დასავლეთით, 40 ვერსის მანძილზე, ცნობილ ფიდაის ემირ-ხიშმეტის რაზმი; 1000 ცხენოსნისაგან შემდგარი, მოვიდა, გაგზავნილ იქნა 9 დეკემბერს ღამით პოდპოლკოვნიკი ბელომესტნოვის მეთაურობით რაზმი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოულოდნელათ დაეცეს ბრბოს და გაანადგუროს იგი. ბელომესტნოვი 9 დეკემბერს თავის რაზმით რაბატ-ქიარიმს მიადგა, სადაც მტერს ბუნებრივად და ხელოვნურად კარგად გამაგრებული პოზიცია დაეჭირა. მას ჰყავდა ორი ბატალიონი ჟანდარმებისა, 500 ცხენოსანი ემირ-ხიშმეტის და 200 ბახტიარი. მოპირდაპირემ გახურებული სროლა ასტეხა. ბელომესტნოვმა სროლის შემდეგ იერიში მიიტანა მოპირდაპირის წინააღმდეგ და სამი მხრით მოუარა. მტერი სასტიკად დამარცხებულ იქნა და გაიფანტა. მარტო ხმლით აკუწულია 118 კაცი, მათში ორი აფიცერი.

მდ. სევრი-ჩაის ველით ტორტუმისკენ სამხრეთ-აღმოსავლეთით სროლით შევუშალეთ ხელი ოსმალთა მუშაობას, რომელნიც სანგრებს აგებდნენ. მელისგერტის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა უკან დაახევინა ოსმალოლების საკმაოდ დიდი რაზმს.

—

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

რიგის ყურის კურლიანდიის სანაპიროების რაიონში მტერმა თავისი ჯარი შეავსო 17—19 წლიან ახალგაზრდა ჯარის კაცებით, რომელნიც ლიენსკის რაიონიდან გადმოიყვანეს. ამის გამო რიგის ფრონტის ზოგიერთ ადგილას მოძრაობა გაცხოველდა. რუსის ჯარის მიერ ოლაის დაკავების შემდეგ ბევრი გადახვეწილი დაუბრუნდა თავის კერას. რიგის ფრონტის ზოგიერთ ადგილას გერმანელებმა თავის თხრილების წინ ექვს წყებად გააკეთეს მავთულიანი ხლართები ოლაის რაიონში მოპირდაპირეებს მხოლოდ მდ. მისსა ყოფს. ამ რაიონში ჯერ-ჯერობით სრული სიწყნარეა.

—

გაზ. „პოლიტიკენს" როტერდამიდან ატყობინებენ, ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელების ბევრი პოლკი ჩამოვიდა ანტვერპენში.

—

გერმანეთის რეიხსტაგმა დაადასტურა მთავრობის 10 მილიარდის სესხი. სესხის მიღების წინააღმდეგ სოც. დემოკრატიის უმცირესობამ მისცა ხმა. კამათის დროს მხოლოდ ორმა სოციალ-დემოკრატმა ილაპარაკა. უმრავლესობის წარმომადგენელმა ებერტმა განაცხადა, რომ პარტიის უმრავლესობა მომხრეა სესხისა, თუმცა ამავე დროს წინააღმდეგია დაპყრობითი პოლიტიკისა.

სოციალ-დემოკრატმა ე. გეიერმა 19 ამხანაგის სახელით განაცხადა, რომ ზავის ჩამოგდების სურვილმა ვერაფერი ნაყოფი გამოიღო, რადგანაც ორივე მხარე ანექსიის მომხრე არისო.

— ომს მივყევართ ევროპის გაღარიბებისა და მისი კულტურის მოსპობისაკენ, ამიტომ სოც. დემოკრატების უმცირესობა კრედიტის წინააღმდეგი არისო.

—

ბერლინის გაზეთების ცნობით, ამ უკანასკნელ დღეებში ბერლინში სერიოზული ამბოხებამ დაიწყო. ამბოხების მიზეზათ—სურსათის ნაკლებულობა და მთავრობის მიერ შემავიწროებელი ზომების შემოღებაა ეკონომიურ სფეროში.

„ბერლინერ ლოკალ ანცეიგერი" და „ბერლინერ ტაგებლატი" სასტიკათ კიცხავენ მთავრობის პოლიტიკას ეკონომიურ და საცენზურო სფეროებში შემავიწროებელ ზომების შემოღებისათვის.

„დეილ ტელეგრაფის" მილანელი კორესპონდენტი, სირიიდან მოსულ მისიონერის სიტყვით, გადმოგვცემს, რომ იერუსალიმსა და იაფაში დიდი საექსპედიციო მომზადებაა ეგვიპტისკენ გასამგზავრებლათ. ექსპედიციას ხელმძღვანელობენ გერმანელი აფიცრები. დამასკსა იერუსალიმსა და გაზას შუა ორ წყება რკინის გზის ვიწრო ლიანდაგს აგებენ. რკინის გზა გაივლის ძველ ოსმალეთ ეგვიპტის საზღვრის გასწვრივ სუეცის არხის იქით მხარეს. იერუსალიმი გადაქცეულია ძლიერ ბანაკათ, სადაც თავმოყრილია 100000 ოსმალოელი ჯარის კაცი. ყველა ეკლესია გადაქცეულია ლაზარეთებათ. ოსმალთა ჯარის ნაწილი, რომელმაც შარშან უნაყოფოთ გაილაშქრა სუეცის არხისაკენ, დღეს გაზაში სდგას. ეგვიპტისკენ გასალაშქრებელ ჯარის უფროსათ იქნება გერმანელი გენერალი.

პატარ-პატარა წერილები.

III.

ომი და შორე აღმოსავლეთი.

ევროპის ბურჟუაზიას ორი აღმოსავლეთი აქვს: ახლო და შორე; ის ორ ღმერთს ეთაყვანება: „დიდს" და „პატარას". „პატარა" ღმერთის კერპი მას ორ ალაგას აღუმართავს და აი ამიტომ არის, რომ იგი ხან ერთს დასტრიალებს თავს და ხან მეორეს: ხან ახლო აღმოსავლეთში საქმიანობს, იბრძვის და ხან შორე აღმოსავლეთში. ამ მოედანს, სადაც მას კერპი აღუმართავს სხვანაირი „ბაზარი" ეწოდება და კერპს კიდევ ფულის ხვავი! კაპიტალიზმის აკვანი ატლანტიის ოკეანეს აღმოსავლეთ ნაპირებზე წაირწა და მისი პირველი აღმოსავლეთიც ბალკანეთის ნახევარკუნძული იყო. განვლო დრომ და კაპიტალიზმმა თავის სამფლობელოთ მთელი ევროპა დაიკავა. მაშინ აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები კიდევ ძალიან შორს არიან მისგან: გამოირკვა, რომ იგი თავის მსვლელობაში ახლა მეორე უცხო ოკეანეს ნაპირებს მიაწყდა; ეს იყო წყნარ ოკეანეს ნაპირები, ეს იყო შორე აღმოსავლეთი, სადაც აღმოჩნდა, რომ უხსოვარი დროიდან დაუსრულებელ სივრცეზე ფუსფუსებს და საქმიანობს ურიცხვი ხალხი. აი, ეს ხალხი ჩინელებია, მათ ქვეყანას ჩინეთი ეწოდება. და აი ევროპამ აქაც თავისი კერპი აღმართა: ოქროს ხვავი დააგროვა. ამნაირათ გაჩნდა ევროპის ბურჟუაზიის ორი აღმოსავლეთი: ახლო და შორე. დღეს, როცა ევროპის ბურჟუაზია ორ იმპერიალისტურ ბანაკათ არის გაყოფილი და როცა მათ შორის სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული და ყოველგან ომის ქარცეცხლია მოდებული, მთელი ჩვენი ყურადღება ამ ორი საერთაშორისო საქვეყნო პუნქტისაკენ არის მიპყრობილი. ეს ორი პუნქტი მსოფლიო ომის ორი მთავარი ასპარეზია. ვინც ამ ასპარეზებზე გაიმარჯვებს, იგი მსოფლიო ბაზარზე საბოლოვოთ გაბატონებული დარჩება, იგი თანამედროვე კაპიტალიზმის ჰეგემონი გახდება.

აი რატომ არის, რომ გერმანიის მთავარი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული. ბალკანეთი და ჩინეთი, მარმარილოს ზღვის სრუტეები და წყნარ ოკეანეს ნაპირები, სტამბოლი და პეკინი ან შანხაი. აი რას და ვის ეტრფის დღეს ევროპის იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი მთავრობა.

ახლანდელი მსოფლიო ომი პირველ ასპარეზზე გაღვივდა, ახლო აღმოსავლეთში გაჩაღდა და საერთაშორისო გამანადგურებელ ქარცეცხლათ იქცა. რამდენიმე პატარა ერის მოსახლეობა უკვე სულ ერთიანათ გადაბუგა ამ ქარ-ცეცხლმა და კიდევ ბევრ სხვასაც უქადის ასეთ უბედურებას. სამაგიეროთ ამ უბედურ ერთა ნანგრევებზე ევროპის ბურჟუაზია საჩქაროთ ახალ-ახალ სრა-სასახლეებს აგებს და სამეჯლისოთ ემზადება.

მაგრამ მან კარგათ იცის, რომ თუ მეორე ასპარეზზედაც, შორე აღმოსავლეთშიაც ნიადაგი არ მოიმზადა და საფუძველი არ გაიმაგრა მომავალი ბრძოლისთვის, ისე პირველ ასპარეზსაც დაკარგავს და მეჯლისი ჩაეშხამდება. აქედან მეომარ სახელმწიფოების მიზანია ახლო აღმოსავლეთში ახლავე, ამ ომში გაიმარჯვონ და ამავე დროს შორე აღმოსავლეთში მომავალი ომისთვის ნიადაგი განიმტკიცონ. მამასადამე, მათთვის ახლანდელი ომი ბრძოლის პირველი აქტია, ხოლო დაბოლოვება, დასასრული ამ ბრძოლისა მომავალში უნდა მოხდეს.

ბევრი გულუბრყვილო კი ოცნებობს: ეს ომი როგორმე დამთავრდება და მერე საბოლოვოთ მოვისვენებთო. საბრალო გულუბრყვილონი! არ უწყიან, რომ იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ მოსვენება არ იცის: მისი ზნე-ხასიათი მუდმივი მეტოქეობა—ჯიბრი და კონკურენციაა. და, ვიდრე ცხოვრების ჩარხს კონკურენცია ამოძრავებს, მანამ არც ომი და არც ადამიანთა სისხლის ღვრა არ მოისპობა. დღეს ახლო აღმოსავლეთი, ბალკანეთი უნდათ დაიპყრან, ხვალ შორე აღმოსავლეთს გადაწვდებიან და თავის მძიმე ზარბაზნებს იქ გადაიტანებენ, რომ საერთაშორისო გამანადგურებელი ქარცეცხლი ერთხელ კიდევ დაანთონ, რომ მასზე მხოლოდ ცხოვრების ნებიერებმა, მსხვილმა კაპიტალისტებმა, ფინანსიურმა ტუზებმა ხელი მოითბონ. ასეთია მეომარი კაპიტალიზმის მისწრაფება, სულის კვეთება და ის თავის გზას არ გადაუხვევს, თუ წინ მძლეთა—მძლე მოწინააღმდეგე ძალა არ გადაუდგა და მრისხანეთ არ შესძახა მას: შეჩერდი, კმარა სისხლის ღვრა! კაცობრიობას მოსვენება უნდა, რომ გონებრივი ძალა მოიკრიბოს და ცხოვრება საყოველთაო ბედნიერებათ გადააქციოს. მაგრამ მანამ, ვიდრე ასეთი ძალა მსოფლიო ასპარეზზე დაირაზმება და იმპერიალისტებს წინ გადაუდგება, ევროპის სახელმწიფოთა ორი კოალიცია, ორი ჯგუფი პირველ აქტებს ურთიერთშორის ბრძოლისას დაამთავრებს ახლო აღმოსავლეთს ერთ-ერთი მათგანი დაიჭერს და სამეჯლისოთ მზადებას შეუდგება. ომი დროებით შეწყდება და ნადავლის გაყოფას შეუდგებიან, რომ შემდეგ სხვა დროისთვის კიდევ უფრო შეუბრალებლათ და მრისხანეთ შეუტიონ ერთმანეთს, ეს შეტევა კი მოხდება არა ახლო აღმოსავლეთში, არამედ შორე აღმოსავლეთში.

ამიტომ წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ომს თუმცა ახლა ადგილი [illegible] მომავალში კი უთუოთ უნდა ველოდეთ. ასეთი ტენდენცია რომ სინამდვილეს წარმოადგენს, ამას გაზეთ „რუსკოე, სლოვოს" შემდეგი სიტყვებიც აშკარათ მოწმობს: „დროა, ბოლო მოეღოს ნემცების მისწრაფებას: ჩინეთი ხელში ჩაიგდოს. და თუ შესაძლებელი კია, რომ გერმანიას შორე აღმოსავლეთში თავზარი დასცენ, მაშინ მოკავშირეები აღარაფერს აღარ უნდა მოერიდონ და დროით საქმეს უნდა შეუდგნონ. მაგრამ, როგორც ვიციით, გერმანიამ „მოკავშირეებს" იქაც დაასწრო და ნიადაგი საკმაოთ გაიმაგრა. მართალია ჩინეთში ახლა თვითმპყრობელობა აღადგინეს, უებრო გაიძვერა იუანშიკაი გაიიმპერატორეს, მაგრამ ამავე დროს გერმანიის აგენტების დახმარებით სახალხო აჯანყება იწყება და ჩინეთის დემოკრატია საბრძოლველათ ემზადება, რომ რესპუბლიკა კვლავ აღადგინოს. გერმანიის აგენტები, ყოველდღე აურაცხელ თოფ—ზარბაზანს ტყვია—წამალს აწვდიან, როგორც ჩინეთის რევოლიუციონერებს, ისე ინდოეთის სპარსეთის და ავღანისტანის ამხედრებულ ხალხს. მაგრამ მთელი ეს მზადება და შორე აღმოსავლეთის და შუა აზიის აბობოქრება მხოლოთ ნაღვერდალია იმ ცეცხლის, რომელსაც ევროპის იმპერიალისტური ბურჟუაზია კაცობრიობას მომავალში უმზადებს! ეს იქნება მეორე მსოფლიო ომი! კაცობრიობის საბედნიეროთ ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ საერთაშორისო დემოკრატია ყავს წამოყენებული და მისი საშუალებით, მისი ძალ-ღონით იგი შესძლებს იმპერიალიზმს წინ სახელმწიფოებრივი დემოკრატიზაცია დაუყენოს, რომ ამ გზით კაცობრიობა მშვიდობიანი განვითარების კალაპოტში ჩადგეს.

დილი.

რას ვემსახურებით?

როდესაც პირველად სანფარებს გამოვეყავით და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება დავისახეთ მიზნად, ფედერალისტებმაცა და სოციალ-დემოკრატებმაც დიდი აურ-ზაური ასტეხეს და პროლეტარიატს აფრთხილებდნენ, არიქა, ბურჟუაზია ირაზმება, თადარიგი დაიჭირე და მტერს თავი არ გაასრესინოო. გულში კი კიდევაც უხაროდათ, რომ გაჩნდა ისეთი მიმართულება, რომელთანაც მათ თითქო ბრძოლა სახელს მოუპოვებდა.

ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი სოციალისტების აზროვნობაში თავისუფლების წილ შაბლონი გამეფებულა-და მათ ერთხელვე გატკეპნილ გზაზე სიარული უფრო ეადვილებათ, ვიდრე ახალი გზების კვლევა-ძიება.

მართლაც, რა ადვილია მათი თვალთამდევის შეხედვა! საზოგადოება დაყოფილია ოთხ კლასად: პროლეტარიატად, ბურჟუაზიად, თავადაზნაურობად და სამღვდელოებად. ამ კლასებს შორის მუდმივი ბრძოლაა. რაც სასარგებლოა ერთისთვის, მავნებელია დანარჩენთათვის.

თითოეული საზოგადოებრივი მიმართულება იცავს ერთ-ერთი ხსენებული კლასის ინტერესებს და არ არის მიმართულება გარეშე კლასისა.

ეს არის ის ადვილად შესათვისებელი შაბლონი, რომელიც გახდარა სოციალისტების მრწამსად. და ამავე შაბლონს ხმარობენ ისინი ხმლად და ფარად თავისუფალი აზრის წინააღმდეგ.

და, როდესაც ჩვენ ჩვენი მიმართულების საფუძვლად და მიზნად მდაბიო ხალხის კეთილდღეობა აღვიარეთ,—ჩვენი აღსარება ძლიერ ეწყინათ და ეუცხოვათ: მათ სურდათ, ჩვენი მიმართულებაც თავისი შაბლონური სქემის კალაპოტში მოემწყვდიათ, რადგან მაშინ უფრო გაუადვილდებოდათ ჩვენთან ბრძოლა.

მართლაც! თუ კი ჩვენ საქვეყნოდ აღვიარებდით, მდიდრების მხარე გვიპირავს და მდაბიო ხალხის წინააღმდეგ გამოვდივართო-თქო, ისინი სოციალური საკითხების გამორკვევისათვის თავს აღარ შეიწუხებდენ და პირდაპირ მოგვისევდენ პროლეტარიატს ძახილით: „ჰკა მაგას"—თო.

მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და იძულებული არიან გამოგვყვენ იდეური ბრძოლის მოედანზე. ეს კი საშიშარია მათი მიმართულების სიმტკიცისა და უცვალებლობისათვის: კრიტიკა მტერია შაბლონის.

და კვლავ ვაცხადებთ: ეროვნული დემოკრატია მშრომელი ხალხის მტერი კი არ არის, არამედ უმთავრესად მისი ინტერესების მოსარჩლეა. უკეთ რომა ვთქვათ, ეროვნული დემოკრატია—მშრომელი ხალხია, მისი მიმართულება—მშრომელი ხალხის მიმართულების წინამორბედია.

მაშ რა განსხვავებაა ჩვენსა და სოციალისტებს შორის? ის, რომ ჩვენ—რეალურს, შესაძლებელს, განსახორციელებელ იდეალს ვისახავთ მიზნად, ისინი კი უტოპიურს, მიუწდომელს, შეუძლებელს.

ყოვლის უწინარეს ჩვენ უარვყოფთ ეგრედწოდებულ სოციალიზმს, როგორც უტოპიურსა, უკრიტიკოსა და არა მეცნიერულ დოგმას. თვით ისინი, რომელთაც სწამსთ მისი განხორციელება, ვერ გვიუხსნებიან, რას წარმოადგენს ეს იდეალი, როგორი იქნება მის დროს ადამიანთა დამოკიდებულება და შესაძლებელია თუ არა შეთანხმება პიროვნების თავისუფლებისა წარმოების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან?

ჩვეულებრივად ფანატიზმი, ბრმა რწმენა, ურიგდება უმეცრებას და სოციალიზმის უეჭველობა და აუცილებლობა ჩამორჩენილ ქვეყნებში უფრო სწამსთ და სჯერათ, ვიდრე იქ, სადაც ეს მოძღვრება პირველად დაიბადა.

მეორე მხრით, სოციალისტურმა დოგმამ გაიფანატიკოსა მისი აღმსარებელნი, გათიშა და დააუძლურა დემოკრატია. ეს არის მიზეზი, რომ აქამდის ვერ განხორციელდა მოსალოდნელი დემოკრატიული რეფორმები და საერთაშორისო ერთობა და მეგობრობა. და, სოციალისტურ ფანატიზმს რომ ხელი არ შეეშალა დემოკრატიის გაერთიანებისათვის, ვინიცის, დღეს ეს საშინელი ომი იქნება არც კი ყოფილიყო!

რუსეთის სოციალისტური სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებმა პლეხანოვის მეთაურობით რუსეთის მუშებს მოწოდებით მიმართეს, არ გაიფიცოთ და სამხედრო კრედიტს სათათბიროში მხარი დაუჭირეთ, რადგან დღეს სამშობლო განსაცდელშია ჩავარდნილიო.

ეს მოწოდება ძირიან ფესვიანად უარყოფს სოციალისტების ძველი ტაქტიკის საფუძველს, და ახალ ხანას აღნიშნავს დემოკრატიის ევოლიუციაში. თუ ომის დროს საჭიროა მუშებისა და ბურჟუაზიის შეერთება სამხედრო ნიადაგზე, მაშ, მშვიდობიანობის დროსაც საჭიროა, რადგან ომის დროს ის იმარჯვებს, ვინც უკეთ ემზადებოდა ომამდის. მაშასადამე, დღეის იქით სოციალისტები მხარს დაუჭერენ სამხედრო კრედიტს მშვიდობიანობის დროსაც!

მაგრამ, თუ კი სამხედრო ნიადაგზე შესაძლებელი შეიქნა მუშათა და ბურჟუათა შეერთება, მით უფრო შესაძლებელია და აუცილებელია ერთობა სხვადასხვა ეკონომიურსა და კულტურულ განმანათლებელ ასპარეზზე. ჩვენ არა ერთჯერ აღგვინიშნავს ეს აუცილებლობა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის გამო ჩვენმა გაფანატიკოსებულმა სოციალისტებმა, როგორც „სანდონებმა", აგრეთვე „სანფარებმა" ქვა და გუნდა მოგვაყარეს და, ვინ იცის, რაღ არ მოგვნათლეს! იმავე დროს მათ კვლავ აღიარეს და გამოამზეურეს შეურიგებელი პოლიტიკა, ე. ი. ცდილობდენ დაემტკიცებინათ, მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის არაფერი არ არის საერთოო.

მაგრამ, როდესაც ევროპისა და რუსეთის სოციალისტებმა ეს შეურიგებლობა უარყვეს, ჩვენი სოციალისტები უმწეო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, დავთარი დაჰკარგეს და აღარ იციან, რა-ღა აღიარონ და იქადაგონ.

ამგვარად, სოციალისტურ აზროვნობაში არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა, ე. ი. მერყეობა გამეფდა. ინგრევა სოციალისტური დოგმა და, ვფიქრობ, რომ ახლობელ მომავალში დემოკრატია რეალურ გზას დაადგება და კვლავ გაერთიანდება და, მაშასადამე, სოციალისტური დემოკრატიის ადგილს ეროვნული დემოკრატია დაიჭერს.

გავიმეორებ: ეროვნული დემოკრატია მხარს დაუჭერს ბურჟუაზიას ყველაფერში, რაც ხელს უწყობს მთელი ერის ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას.

მაგრამ რა არის ეს საერთო, ან ეროვნული, რომლის გარშემოც აუცილებელია დემოკრატიისა და ბურჟუაზიის თანამშრომლობას სახალხო სწავლა-განათლება, ვაჭრობა და მრეწველობა, მეცნიერება და ხელოვნება, ენა და ლიტერატურა, ჩამომავლობა და ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი და ზნეობრივი ღირებულებანი—აი ის საერთო, ეროვნული, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად კლასთა თანამშრომლობას.

პოლონეთის პოეტმა სეროშევსკიმ ველურ იაკუტებში აღმოაჩინა ადამიანები და მათსა და განათლებულ კაცობრიობას შუა შემაერთებელი ხიდი გასდო. სოციალისტებმა კი ისეთი უფსკრული გასთხარეს ბურჟუაზიასა და მდაბიო ხალხს შორის, რომ შემაერთებელი ხიდის გადება შეუძლებელი შეიქნა. ბურჟუაზიისა და ხალხს შორის არაფერია საერთო, თითქო ცხოველთა სხვადასხვა სამეფოს ეკუთვნიანო, ამბობენ.

მაგრამ, როგორცა ვთქვით, ამ საშინელმა ომმა მათ თვალი აუხილა და დაანახვა, ჯერ ერთი, რომ კლასთა შორის ბევრი რამეა საერთო და ბურჟუაზიაც ადამიანთაგან შესდგება და იმავე ზნეობრივ ღირებულებათ შეიცავს, როგორსაც პროლეტარიატი.

ერთობის შეგნებას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალი ხანისათვის, რადგან საერთო ნიადაგზე თანამშრომლობას—ხელს აღარავერი შეუშლის.

ახერი.

(დასასრული ხვალ)

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ყ-ვლ სამღვდელომ გიორგიმ შემდეგი დეპეშა მიიღო მიტროპოლიტ პიტირიმისაგან:

„ქუთაისის სასულიერო სემინარია უწმ. სინოდმა სრულიად აღადგინა, განკარგულებას ამ ახლო მომავალში მიიღებთ".

✦ ჟურნალ „ცხოვრების" რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დეკემბრის ორივე ნუმერი სტამბიდან ორივე ერთად

საერობო აგრონომიული დაწესებულება და მისი დანიშნულება.

როგორც მთელ რუსეთში, ისე კერძოთ ჩვენშიც მცხოვრებთა თითქმის 80 პროცენტისათვის არსებობის წყაროს სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს. მაგრამ ჩვენი მხარის მდებარეობა, მისი მთა-გორიანი ხასიათი ნაკლებ საშუალებას იძლევა მიწის მუშაობისათვის. ამიტომ მცხოვრები ველებს და დაბალ მთების ფერდობებს ეტანება და ადგილის სიმცირით შევიწროებული ზოგიერთ ძვირფას მეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა და ხელის მომწერლებს დაურიგდებათ.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო მორიგი ნუმრები ჟურნალ „ნაკადულისა" მოზრდილთა და მცირე წლოვანთათვის. ჟურნალი ჩვეულებრივათ არის გამოცემული.

✦ უმაღლესი ბრძანებით ალავერდის ეპისკოპოსათ დაინიშნა სინოდალური კანტორის წევრი პიროხი.

✦ კვირას, 20 დეკემბერს, მოხდება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება. კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1 საერობო დაწესებულებების შემოღება კავკასიაში 2 ძირითადი თანხა თ-დ აზნ. სადგილ-მამულო ბანკში და სხვა.

✦ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი კრონშტადის ეპისკოპოსათ დაინიშნა.

✦ გაზ. „კავკაზსკოე სლოვო" სამუდამოთ დაიკეტა.

✦ ქუთ. ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ 21 დეკემბერს ამავე გიმნაზიის შენობაში საღამო გაიმართება.

სასულიერო მართვა გამგეობა ჩვენში.

III

მწიგნობრობის დასაბამ-დასაწყისი შკოლაა. რამდენათაც შკოლა შეფარდებულია ცხოვრებასთან, იმდენათ მწიგნობრობაც შინაარსიანი და ძლიერია. შკოლის დანიშნულება, ადამიანის სულის ყოველ მხრივ განვითარებაა. ამიტომაც სწავლა-აღზრდის საქმე უნდა აგებული იყოს საღს პედაგოგიურ საფუძველზე. ხოლო აღმზრდელ-პედაგოგის ვალდებულებაა თვალ-ყური ადევნოს, თუ რომელი მხარე სულისა მეტათ ვითარდება ან, თუ ვერ ვითარდება, იქ მიეშველოს, რათა არ დაირღვეს წონასწორობა ადამიანის სულიერ განვითარებაში, თორემ, რაც ერთი რომელიმე მხარე მეტათ ვითარდება მეორის ხარჯით, მაშინ განვითარება ღებულობს ცალ-მხრივ მიმართულებას და ასეთ სწავლა-აღზრდას მეტი ვნება მოაქვს, მინამ სარგებლობა. სწორეთ ვნება მოაქვს დღეს განათლების ამ იარაღს ჩვენთვის, რადგანაც ის ჯეროვან პედაგოგიურ პრინციპზე არა სდგას.

ნაცვლათ იმისა რომ სწავლება გასაგები და გაადვილებული იყოს, დღეს ჩვენში უფრო აძნელებენ და გაუგებარს ხდიან მას. გაუგებარია, როცა ჩვენს ბავშვებს უცნობ საგანს უცხო ენაზე ასწავლიან. ჯერ ბავშს უცხო ენის სიძნელე ვერ დაუძლევია და ამ სიძნელეს კიდევ მეორე სიძნელეს ე. ი. უცნობ საგანს უმატებენ. ასე რომ ჩვენმა ბავშმა ერთსა და იმავე დროს ორ სიძნელეს უნდა დააღწიოს თავი. და რადგანაც ჯერ ერთისთვის (ენა) ვერ დაუძლევია, მეორეც გაუგებარი რჩება მისთვის და ისე მეხანიკურათ, ზეპირათ იმახსოვრებს ანგარიშ მიუცემლათ: ესმის მას ის, რასაც ასწავლიან, თუ არა. და ასეთ პირობებში ჩჩვილი გონება განვითარების მაგიერ იხშობა და რამდენიმე თაობის შემდეგ გადაშენებაც მოელის. ამიტომაცაა, რომ ყველა დამორჩილებული ერი ყველგან და ყოველთვის წინააღმდეგია ასეთი სწავლა-აღზრდის წესის, რადგანაც არავის არ სურს თავისი მოსპობა-გადაშენება და მით უმეტეს მთელი ერს.

რადგან ჩვენი შკოლაც ასეთ, მშობლიურ ნიადაგს მოკლებულია, ჩვენი სასულიერო ლიტერატურაც, განვითარების მაგიერ, დაკნინებული და სრულიად მოსპობილია, რადგანაც, დღეს ჩვენში არსებული შკოლა, მის განვითარებას ხელს ვერ უწყობს. მაშასადამე, არა გვაქვს ეროვნული შკოლა და არც ეროვნული ლიტერატურა და მეცნიერება, რადგანაც ესენი საფუძველს და განვითარებას ღებულობენ შკოლაში და ნამეტურ საშუალო და უმაღლეს შკოლებში, სადაც სპეციალური კათედრები და მასწავლებელ-პროფესორები მუშაობენ და რადგანაც ჩვენი სასულიერო ლიტერატურისათვის არსად არავინ მუშაობს. ამიტომ ნამუშევრიც ჩანს.

ამ გვარათ, არამც თუ სამეცნიერო კათედრები და პროფესორები, სღვთისმეტყველო ორგანო, ერთი უბრალო სალიტერატურო მუდმივი ორგანოც კი არა გვაქვს სამშობლო ენაზე და ან კი საიდან უნდა გაჩნდეს ის, როცა ქართული ენაც კი არ იცის ხეირიანათ ჩვენმა ნასწავლმა სამღვდელოებამ და ქართულ ენაზე დარიგებაც ვერ მოუხერხებია თავისი სამწყსოსი და, თუ კი რამეს ეტყვის, ისიც ისე—ნიქორთულით: სიტყვები არ ყოფნის, ტერმინები არ მოეძებნება და ასე ბორძიკით და ენის მტვრევით რეღაცას ეუბნება მრევლს. მაგრამ რას, ეს ვერც მოძღვარს გამოუთარგმნია და ამას ვერც მოწაფე მიხვდარა, ასე რომ მოწაფეს მოძღვრისა არ ესმის და მოძღვარს მოწაფის. მაგალითად, ასეთი შემთხვევა იყო: ახალგაზრდა სემინარიელი მღვდელი სიტყვას ეუბნება თავის ახალ სამწყსოს. სიტყვაში სხვათა-შორის ამბობს: „თქვენ ჩემი ცხვრები ხართ და მე თქვენი მწყესიო". ამის გაგონებაზე ხალხი ეკლესიიდან ნაწყენი გამოდის: როგორ თუ ცხვრები ვართ, განა ჩვენდა საკრეჭათ ხარ მოსულიო და სხ. მღვდელმა არ იცის რითი იმართლოს თავი. მას ასე აზეპირებინდენ: азъ есмь пастырь добрый, пастырь добрый душу свою полагаетъ за овцы"-ო. მას კი შეურაცხყოფისათვის საქმე ისე გაუხადეს, რომ სული კი არა ტყავიც კინაღამ არ დაატოვებიეს. ან კი რა ექნა, რაც ასწავლეს, ისა სთქვა, მხოლოდ „ქართულათ". თუ ესწავლებინათ: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმა კეთილმა სული თვისი დასდვას ცხოვართათვის"-ო (იოან. 10 ღ. მ. 11.), ისიც ასე ეტყოდა. აწი ისწავლოს და გვიანაა. ამის არც დრო აქვს და არც გარემოება უწყობს ხელს და მინამ ისწავლიდეს, ისე ჩავა საფლავში, რომ სიტყვის თქმას ვერ მოასწრებს.

ამნაირათ, დღეს მღვდელი და მრევლი მუნჯივით პირისპირ დგანან და ერთმანეთს შეჩერებიან. რა ქნას მღვდელმა: არ სთქვას რაღა მღვდელია, სთქვას და უთუოთ სკანდალით დამთავრდება მისი თქმა. ამის შიშით კი ხმა ვერ ამოუღია.

თუ კი ქართულათ სწავლა-მოძღვრების თქმას ვერ ახერხებს ჩვენი სამღვდელოება, რაღა სღვთისმეტყველო მსჯელობას გაგვიმართავს ის?! რაღა სამეცნიერო და სღვთისმეტყველო ლიტერატურას აღგვიყვავებს და დაგვიმუშავებს ასეთი სამღვდელოება?! ამიტომაც არც არსებობს დღეს ჩვენში სღვთის-მეტყველო მეცნიერება და, მინამ საქმე ასე არის, ვერც იარსებებს და ვერც სასულიერო ლიტერატურას შექმნის სამღვდელოება. ამაზე გული ნურავის დაწყდება. ნურც სამღვდელოება მიიღებს ამას შეურაცხყოფათ, ნურც ის სასულიერო მთავრობა, რომელიც მას ამ გვარათ „ამზადებს", არ ვიცით, რისთვის და ან ვისთვის?!

დე—ზი.

პროვინციის ცხოვრება.

მიხედეთ სოფელს..,

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?..

ეს ნაღვლიანი სიტყვები ტკბილი მგოსნისა ყოველთვის მომაგონდება ხოლმე, როცა სოფლის ავ-კარგს, როცა სოფლის არასასურველ მდგომარეობას ვუკვირდები.

თითეული მხარე დღევანდელი სოფლის ცხოვრებისა უნუგეშობის მწარე სურათს გვიხატავს თვალ წინ. სოფელი ჯოჯოხეთურ მდგომარეობას განიცდიდა დღემდისაც; დღეს ხომ, ამ შავბნელ დღეს როცა მუშა ხელი ათასობით და ათიათასობით მოსწყდა მშობელ კერას, როცა ცრემლი, ცხარე ცრემლი გაბატონდა მთასა და ბარში,—დღეს ხომ, ვიმეორებ, ეს უნუგეშო მდგომარეობა სოფლისა გაორკეცდა... ჯერ ამ უმაგალითო, გამანადგურებელ ომამდისაც არ ყოლია პატრონი სოფელს, არაფერი არ ყოფილა რიგიანად გაკეთებულ-მოწყობილი და ახლა ხომ ნამდვილ პირველ ყოფილ მდგომარეობას განიცდის იგი.

თუ გსურს, მკითხველო, შენი თვალებით ნახო ჯოჯოხეთი, აწონ-გაზომო მისი საშინელება, დარწმუნდე, რომ სიტყვა „ჯოჯოხეთი" უბრალო ხმა არ არის, გაბრძანდი სოფლად, დაუკვირდი სოფლის გზებს და იმგზავრე ამ გზებით. აქ თქვენ წინ გადაიშლება ნამდვილი ჯოჯოხეთი. ამ მხრით სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს მთელი იმერეთი და განსაკუთრებით შორაპნის მაზრა. ჯერ კარგი ამინდის დროსაც ძნელია ამ გზებით მგზავრობა და ცუდი ამინდის დროს ხომ აუტანელი რამ არის. ყოველ ფეხის გადადგმაზე ტბა, ლაფი, ოღრო-ჩოღრო ადგილები, ორმოები. ცხენით და ურმით, მგზავრობისაგან ზამთრობით ღმერთმა მტერიც კი დაიფაროს. ადამიანმა არ იცის სად წაიქცევა ცხენი, სად გადმობრუნდება ურემი, სად ამოიგლაგნება ტალახში, ან სად გამოეთხოვება ხელს, ფეხს, სიცოცხლეს.

ხედავ ამ ჯოჯოხეთურ გზებს და ეკითხები თავს: ნუ თუ მართლა ასე შეუგნებელია სოფლის ხალხი, რომ კარგი გზების მნიშვნელობა არ ესმის? ნუ თუ სოფლელები არ იხდიან გადასახადს, არ ემორჩილებიან მთავრობას? სად არის ეს მთავრობა, რაში გამოიხატება ამ უკანასკნელის მზრუნველობა სოფელზე! ნუ თუ სოფელს არ ჰყავს შეგნებული შვილები და თუ ჰყავს სად მიმალულან ნეტავი და რად შეუქცევიათ ზურგი სამშობლო სოფლისათვის?...

უგზოობა შეუგნებლობის შედეგია.

შეუგნებლობისა და უპატრონობის შედეგია, ჩემის ღრმა რწმენით, ის სამწუხარო მოვლენაც, რომ სოფელი ეს ერთი ხანია განუწყვეტელ შიმშილს განიცდის. სოფელს არ აქვს ცოდნა, სოფელმა არ იცის მიწის მუშაობა, სოფელმა არ იცის ამა თუ იმ მიწის ნიადაგის თვისება, სოფელმა არ იცის მიწის ხელოვნურად გასუქება და ესაა მიზეზი, რომ სოფელს წლის საყოფი სარჩო აღარ მოსდის.

ვერავინ იტყვის, რომ სოფლელი ზარმაცი იყოს. სოფლელი ბეჯითია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ის მუშაობს დილიდან საღამომდის, მუშაობს ღამეც კი. სოფელმა დ[illegible] [illegible]იცის, სიმწრის ოფლს აქცევს დედამიწ[illegible], მაგრამ მაინც შია, მაინც [illegible] იდგამს.

ამ სამწუხარო მოვლენის [illegible]დინარობაა, გონიერი პატრონ-მზრუნველის უყოლობაა და სხვა არაფერი!

სოფელს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია თავიდან მოშორება იმ საბავშო „კავ-სახნისისა", რომლითაც იტანჯებოდენ საუკუნოების განმავლობაში ჩვენი წინაპრები. იყო დრო, როცა ამ საბავშო იარაღით ნაფხეკი მიწა წლის საყოფი მოსავლით ასაჩუქრებდა მიწის მუშას, მაგრამ დღეს ის დრო აღარ არის. მიწა გამოიფიტა, მიწა დამჭლევდა, მიწა დაიღალა და ამ მდგომარეობაში მყოფსაც ისევე ვექცევით, როგორც რამდენიმე ათი საუკუნის წინად. ისევ მამა-პაპური კავ-სახნისი, ისევ ზერელე ჩიჩქვნა. არც აყრა მიწას, არც დაფარცხვა, არც ღრმათ მოხვნა, არც ხელოვნურად გასუქება, არც დასვენება, არც მორწყვა და რა გასაკვირველია ამ გვარ მდგომარეობაში მყოფმა, დაავადმყოფებულმა, დაღლილ-გამოფიტულმა მიწამ დღევანდელი სოფელი რიგიანი მოსავლით ვერ დაასაჩუქროს.

უცოდინარობის შედეგია ის გამგეობა, რომ სოფელი ვერ არჩევს რომელ თვისების მიწაზე რა მცენარე აჯობებს, რა უფრო მალე მოდის, რა უფრო სასარგებლოა.

მახსოვს, ამ ოციოდე წლის წინად სიმინდთან ერთად პურსაც სთესდენ ჩვენი გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად შორაპნის მაზრაში. აქ პურის თესვა, რაღაც მოსაზრებით, უფრო კი არავითარი მოსაზრებით, დღეს შეწყვეტილია და ამ გარემოების შედეგიც თვალსაჩინოა: დღეს დაბა ქალაქებისაკენ ხანთატომრებით სიმინდზე წრიალი ჩვეულებად გადაექცათ სოფლელებს. ეს წრიალი უმაღლეს წერტილს აღწევს ზაფხულობით.

ამ დროს ძლიერ მცირეა რიცხვი იმ ოჯახებისა, რომელსაც სიმინდი ჰქონდეს ნალია-ბეღელში. ამ ოციოდე წლის წინად კი, როცა სიმინდის ყანებს სოფლად ამშვენებდა ოქროსფერი პურის ყანები, სოფლელებს წრიალი დაბა-ქალაქებში თვალსაჩინო არ იყო. ახალი პური, როგორც ამბობენ სოფლად, „სულზედ უსწრობდა" სოფელს. ვისაც პური არ ეთესა, ის სესხულობდა მეზობლისაგან, ან და ადამიანურ ფასებში ყიდულობდა.

მე ვერ გამიგია, რა მოსაზრებით უარჰყო პურის თესვა შორაპნის მაზრამ მაინც, სადაც ეს მადლიანი მცენარე გვარიან მოსავალს იძლეოდა.

გორგი.

(დასასრული ხვალ)

ნარის მოვლა-მოშენებას მისდევს.

თუ წინეთ ეს მცირე ადგილი და მამა-პაპური მეურნეობა აკმაყოფილებდა ჩვენ წინაპართა მცირე მოთხოვნილებებს, დღეს მდგომარეობა შეიცვალა: მცხოვრებთა რიცხვი მატულობს; მცხოვრება გართულდა და ათასი ახალი მოთხოვნილება წამოაყენა; სიძვირე დღითი-დღე იზრდება.

მიწის სინოყიერე კი წლიდან-წლამდე იკლებს; გახშირებული წყალ-დიდობა და გვალვები უკანასკნელ პირნახულს ხელიდან გვაცლის. აშკარაა საჭიროა საშუალება, რომელსაც ხალხის აუტანელი მდგომარეობის ცოტათი მაინც შემსუბუქება შეეძლება, და თუ ჩვენი არსებობის წყარო ისევ ის მცირე ადგილ-მამულია, აშკარაა უნდა მივმართოთ ამ ადგილს, სხვა და სხვა ნაირათ ვცადოთ მისი გამოყენება, რომ მისი მოსავლიანობა გავაუმჯობესოთ.

როგორც მოგახსენეთ $^4/_5$-თედი მცხოვრებთა რიცხვისას სოფლის მეურნე შეადგენს და, მაშასადამე, სოფლის კეთილდღეობა მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობას მოასწავებს და პირიქით მისი უმწეო მდგომარეობა მთავრობის მხრით ზრუნვას იწვევს. ჩვენში, ამიერ კავკასიაში, მთავრობის ამგვარი ზრუნვა ბევრად უფრო გვიან დაიწყო, ვინემ რუსეთში.

პირველად ის იმაში გამოიხატებოდა, რომ სათანადო დაწესებულებებისაგან ე. ი. სამიწად-მოქმედო დეპარტამენტისაგან ინიშნებოდა სხვა და სხვა დარგის მცოდნე სპეციალ., რომელთაც ევალებოდათ ადგილობრივ მეურნეობისათვის თვალყური ედევნათ და მისთვის დახმარება და ხელმძღვანელობა აღმოეჩინათ.

მოქმედება ამ ჩინოვნიკ-სპეციალისტებისა შემთხვევითი ხასიათის იყო და რაღა თქმა უნდა ნაყოფიერი ვერ იქნებოდა; არც ერთ მეურნეობის დარგზე მათ მუშაობას შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია.

მეურნეობის მდგომარეობა კი თან და თან უარესდებოდა. გართულდა სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის ზრუნვა: დაარსდა სცადელი სადგურები (ქუთაისის, საქარის, ოზურგეთის და სხვა), საბრეშუმო სადგური და მეღვინე-მევენახეობის კომიტეტები. ამ დაწესებულებებს საერობო აგრონომიულ დაწესებულებასთან, რომლის დავალებით მე დღეს გემუსაიფებით, კავშირი არა აქვთ, მაგრამ ვინაიდან საბოლოოთ მათი დანიშნულებაც იმასვე ემსახურება, ე. ი. ადგილობრივ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის წარმატებას, მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, თუ როგორა და რამდენათ შეგიძლიათ თქვენ გამოიყენოთ დასახელებულ დაწესებულებათა არსებობა.

რამდენჯერ გინახავთ თქვენ, რომ ან თესლის უვარგისობის გამო, ან მოვლის უცოდინარობის გამო ერთი და ორი კვირის აბრეშუმის ჭია დაავადმყოფებულა და წამხდარა და მათთან ერთად დაკარგულა თქვენი შრომა და ხარჯი, მაშინ, როდესაც საბრეშუმო სადგურის მეოხებით შეიძლება როგორც სრულიად ჯანმრთელი და კარგი თესლის შეძენა, ისე საჭირო დარიგების მიღება. ერთიც და მეორეც თქვენ შეგიძლიათ ამ მიზნისათვის არსებულ საბრეშუმო სადგურისაგან მოითხოვოთ და ამგვარათ გათავისუფლდეთ ყოველგვარ შუამავალ და ვაჭრებისაგან.

კიდე მეტი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის მეღვინე მევენახეობის კომიტეტის არსებობას. რამდენი საზოგადოებაა ჩვენში, სადაც მევენახეობა უმთავრეს დარგს წარმოადგენს მეურნეობისას; იქაც კი, სადაც მევენახეობას ნაკლები, დახმარებითი მნიშვნელობა აქვს, ყოველმა მეურნემ იცის, რომ თუ ვენახს რიგიანი მოვლა აქვს და დროზე წამალი აყრია, ის ვერ ხეირობს, ან და ჩვენებური ღვინო: მისი მამა-პაპურით დამზადება და შენახვა იმდენათ აფუჭებს მის ბუნებითი მაღალ ღირსებებს, რომ ჩვენებური ღვინო შორს გასაყიდათ სრულიად არ იზიდება. ბუნებრივი თვისება კი ჩვენებურ ჯიშებისა და ადგილობრივი ჰავა საშუალებას იძლევიან მაღალი ღირსების ღვინის დაყენებისას. მეღვინე-მევენახეობის კომიტეტებს ყავს დაქირავებული მცოდნე პირები, რომელთაც ევალებათ ხალხს ვენახის მოვლა-მოშენებაში და ღვინის დაყენებაში დახმარება გაუწიონ. მიმართეთ საჭიროებისამებრ მათ და მოიხმარეთ მათი ცოდნა*). სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის ხარჯზე არსებობს აგრეთვე საცდელი დაწესებულებები. ისინი იკვლევენ ადგილობრივ მეურნეობას და სხვა და სხვა ზომებს მისი გაუმჯობესებისას, ამა თუ იმ მცენარის, ან ჯიშის გამოცდომას ადგილობრივ პირობებში და სხვა. ზოგიერთმა საცდელმა სადგურმა უკვე ძვირფასი ცნობები მოგვცა ჩვენი მეურნეობის შესახებ. საჭიროა მხოლოდ ჩვენ მივდიოთ მათ რჩევას, ვისარგებლოთ მათი დიდი ხნის მუშაობის ნაყოფით. ყველა ეს დაწესებულებები, როგორც მოგახსენეთ, არსებობენ და არსებობს დღემდი ჩვენში, სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის ხარჯით.

სხვაფრივ არის მოწყობილი აგრონომიული დახმარების საქმე რუსეთში. იქ ეს საქმე ერობის ხელშია.

ე. წ. ერობა შემოღებულია რუსეთში ბატონ-ყმობის გადავარდნის ხანიდან. ერობა სოფლის თვითმართველობაა, ე. ი. სადაც ერობა არის იქ ხალხიდან საერობო ანუ ზემსკი გადასახადებიდგან შეგროვილ ფულს განაგებს ხალხისაგანვე არჩეული სამაზრო და საგუბერნიო გამგეობები. ე. ი. სოფელს იქ, როგორც ხედავთ ისეთივე უფლება ქონია მინიჭებული, როგორც ჩვენში ქალაქებს. ამ ფულის გამგეობები სოფლის ჭირ-ვარამსვე ახმარებენ: გზებს, საავადმყოფოს, სკოლას. აგრონომიულ დახმარებას, სამიწად-მოქმედო დეპარტამენტი იქ თავად აღარ აწყობს საქმეს, ის ერობას ფულით ეხმარება.

ბევრ გუბერნიაში რუსეთში სოფლის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ კიდევ უფრო რთული ხასიათი მიიღო.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ საზოგადოთ სოფლის კეთილდღეობისათვის და კერძოთ აგრონომიულ დახმარების წესიერად მოწყობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს თვით ხალხის თვითმოქმედება. და აი უკანასკნელმა ათმა წელმა დაგვანახა ხლაპრული ზრდა საკრედიტო სამეურნეო ამხანაგობათა და კოოპერატივთა. მათი მოქმედება და გავლენა სოფლის ცხოვრებაზე საათობით იზრდება. ასეთია მდგომარეობა რუსეთის გუბერნიების უმეტეს ნაწილში. ჩვენში კი, როგორც მოგახსენეთ, უკანასკნელ ხანამდის აგრონომიული დახმარების საქმე, სამიწადმოქმედო დეპარტამენტის დაწესებულებას და მათ ჩინოვნიკებს ებარათ.

1912 წელს დაარსდა საერობო აგრონომიული ორგანიზაცია.

1913 წელს დანიშნულ იქნა აგრონომები, საგუბერნიო და საოლქო, რომლებსაც უნდა მათი გუბერნიის მეურნეობა შეესწავლათ და მხოლოდ 1914 წლიდან დაიწყო ნამდვილი მუშაობა საერობო აგრონომიულ დაწესებულებისა, რომელიც საერობო გადასახადებისაგან და სამიწადმოქმედო დეპარტამენტისაგან შემოსული ფულით არსებობს.

მთელი მხარე დაყოფილია, გუბერნიებათ და ოლქებათ. თითო გუბერნიის ან ოლქის ყოველივე აგრონომიულ ზომის და მოქმედების სათავეში დგას საგუბერნიო თათბირი, რომელიც შედგება მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლებისაგან, აგრონომებისაგან, არსებულ სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობათა წარმომადგენლებისაგან და აგრეთვე ზოგიერთ გამოჩენილ მემამულეთაგან, რომლებიც მიპატიჟებული იქნებიან.

გუბერნიის აგრონომი წარუდგენს თათბირს მოხსენებებს და მოსაზრებებს და თათბირი კი გადასწყვეტს თუ რა ზომები უნდა იქნას ნახმარი, ხალხისთვის დახმარების აღმოჩენისათვის; თათბირის დადგენილების ცხოვრებაში გატარება აგრონომების საქმეა. თითო გუბერნია რამდენიმე ნაწილათ იყოფა, ბუნებრივ პირობების და მეურნეობის ხასიათის მიხედვით.

თითო ნაწილი ანუ რაიონი ან მაზრას უდრის, ან ორ მაზრას, როგორც მაგალითად რაჭა-ლეჩხუმი და სენაკისა და ზუგდიდის მაზრა.

თითო რაიონს თავის აგრონომი ყავს; უკანასკნელს კი თანაშემწეები: ინსტრუქტორები და სტაროსტები.

რაიონის მოსამსახურენი, მანქანები და სხვა იარაღი და ქონება ე. წ. პუნკტს შეადგენს. ამ პუნკტების მოქმედების შეთანხმება და ხელმძღვანელობა საგუბერნიო აგრონომის საქმეა.

ვ. ქ—ქი.

(შემდეგი იქნება)

---

*) აქ საჭიროა მივუთითოთ, თუ სად ცხოვრობს ესა თუ ის ინსტრუქტორი ან სტაროსტა.

პატარა ფელეტონი.

„...არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...

(გუჯუჯი მარგანიას ნაამბობი)

აფხაზი გახლავთ... სამურზაყანოლენ... იმედია გვიცნობთ!

ჩვენც ქართველები ვართ... ჩვენც თქვენი ძმები ვართ, ჭირში თქვენთან ერთად მოჭირნე

და ლხინში ხომ მუდამ თქვენთან მყოფი და განუყრელი...

მაგრამ არ შემიძლია არ გისაყვედუროთ...

ჩვენი თქვენდამი გულის ტკივილი არ გაგიმჟღავნოთ, სიმართლე არ გითხრათ?!

გთხოვთ საწყენათ არ მიიღოთ!

ასე ბოდიშის მოხდით, თავაზიანათ დაიწყო გუჯუჯიმ თავისი მოთხრობა.

ჩვენ ყველგან და ყოველთვის გვესმის: „აფხაზები ჩვენი ძმებია, ჩვენი სისხლი და ხორციო“!

მაგრამ არ გვჯერა!

ან კი რა დასაჯერებელია?!

აბა, სად არის თქვენი ძმობა ან სიყვარული?!

მთელ სამურზაყანოში დღეს ორ ქართულ შკოლას ვერ ნახავთ!

მთელი დღე, რომ იაროთ ქართულ წიგნს ვერსად იპოვნით!

ძალიან სურვილიც რომ გქონდეს, ჩვენს ქართველ მოღვაწეებს, ან მწერლებს აქეთ ვერსად იხილავთ?!

მაშ, სად, სად უნდა მესწავლა მე საბრალოს ქართული ენა?!

სად უნდა გამეცნო ჩვენი მგოსნები, მწერლები, ქვეყნისთვის თავდადებულნი ქართველნი?!

არსად.

ისევ იმერეთში და ქართლში მოგზაურობის დროს, თუ გამიგონია რამე მათზე,

თორემ აქ—აფხაზში იმათზე მუსაიფით, არ მომიკვდეთ, თავიც არავის შეუწუხნია!!

იქ—კი ხშირათ მსმენია, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ჩვენი—ქართველების

მნათობნი ვარსკვლავები არიანო.

ილია ჭავჭავაძის არაფერი წამიკითხავს, მაგრამ აკაკის ლექსები კი ბევრი გამიგონია და

ზოგიც ზეპირათ ვიცი...

სიმღერა—მუსიკის მოტრფიალე გახლავართ.

აკაკის ბევრი სასიმღერო ლექსები ვიცოდი... ბევრი კიდევაც მიმღერია!..

შორიდან მიყვარდა აკაკი... რაღაც უხილავი სიყვარულის ძალა მაერთებდა მასთან.

მინდოდა მენახა სიცოცხლეში...

მაგრამ ამას ვერ მოვესწარი...

მოკვდა.

შეწუხდა მთელი საქართველო.

შეწუხდა აფხაზეთი, გურია, იმერეთი...

შევწუხდი, რასაკვირველია, მეც, მაგრამ რა უნდა მექნა?!

გადავსწყვიტე.

„სიცოცხლეში ხომ ვერ ველირსე მის ნახვას, მკვდარს მაინც ვნახავ—მეთქი და

გავეშურე თფილისისაკენ...

თბილისში ბევრი საზოგადოება დამხვდა..

ამ შემთხვევისა გამო ჩამოსულიყვნენ...

ყველა ჩვენი ქვეყნის კუთხიდან იყვნენ წარმომადგენლები...

ქალაქში ერთი დღით ადრე ჩაველი...

მიცვალებული მეორე დღეს უნდა ჩამოესვენებიათ.

გული მოუსვენრათ მიძგერდა...

მალე მინდოდა მენახა სანატრელ ადამიანის გვამი, მისი პირის სახე, გარეგნობა, შეხედულობა.

აგერ, ვაგზლიდან დაიძრა საზოგადოება,

მიცვალებულს წინ მოასვენებდენ... აურებელი ხალხი მოჰყვებოდა უკან...

ერთ ადგილას მიცვალებული დაასვენეს. ხალხი გარს შემოერტყა...

ვიღაც ყმაწვილი კაცი მაღლობზე შედგა და დიდებული სიტყვები წარმოსთქვა...

მგოსნის გენიოსობა, მისი სიდიადე ბუმბერაზობა, ნათლათ თვალის წინ დაგვიხატა...

ბოლოს ეს მშვენიერი სიტყვა ამით დაამთავრა:

„არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო“.

მაშინ ამ სიტყვებს ჩემზე არაფერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

მალე საზოგადოება დაიძრა და სხვებთან მეც გავყევი მიცვალებულის გვამს.

გავიარეთ რამოდენიმე მანძილი.

მიცვალებულს სიონის ტაძრისკენ მიასვენებენ...

გზაში კიდევ შეაჩერეს და რამოდენიმე პირმა სიტყვები უთხრას...

აქ კი შევჩერდი...

ფიქრებმა გამიტაცეს.

ეს სიტყვები აქაც გაიმეორეს „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს“.

ვიფიქრე ეს რას ნიშნავს? ვის ატყუებენ?

მთელი საქართველო აქ არის! ყველგან ამბავი მოგვივიდა, მოკვდაო

და ესენი კი აქ გვარწმუნებენ:

„არა, არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო“!

ვიფიქრე მხოლოთ ჩემთვის, თორემ ვის გავუმხელდი ამ უცნაურობას?!

მივდივართ...

გზაში ეს სიტყვები მოსვენებას არ მაძლევენ...

მინდა შევიტყო თუ რას ნიშნავს იგი.

მაგრამ რანაირათ შევიტყო, ესეც არ ვიცი?!

სახის დანახვა ვერ მოვახერხე... ხალხმა არ მიმიშვა...

კითხვისა კი მრცხვენოდა...

ეჭვმა შემიპყრო... ეგებ მართლა სძინავს, არ მომკვდარა მეთქი.

ვიფიქრე ჩემთვის და სწრაფლ სასაფლაოსაკენ გავეშურე.

გადავსწყვიტე: საფლავის თავზე დავდგები... ყველაფერს ჩემის თვალით ვნახავ,

თუ მართლა სძინავს—არ დამარხავენ მეთქი...

ერთი საათიც და წმინდა დავითის ეკლესიის გალავანში გავჩნდი...

აკაკის საფლავის ახლოს დავჯექი და მიცვალებულის მოსვენებას ველოდი...

მიცვალებულიც მალე მოასვენეს:

აქაც წესის აგება, სიტყვები, დაუსრულებელი გამოთხოვება...

აქაც იმავე სიტყვების განმეორება: „არა, არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო“.

ბოლოს დიდის მოწიწებით მიცვალებული საფლავში ჩაასვენეს...

ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა მკვდარი იყო...

ცოტა მოვისვენე, მაგრამ მთლად კი არ დავრწმუნებულვარ!..

ახლა კიდევ უფრო მომინდა შემეტყო: რისთვის ეუბნებიან ამ სიტყვებს?!

მაგრამ ვისთვის უნდა მეკითხა?!

დიდ ხანს ნაცნობთაგანიც ვერვინ მოვნახე. უცნობის კითხვა კი მრცხვენოდა...

აგერ, ერთს განათლებულ აფხაზს მოვკარი თვალი...

იმან ქართული მწერლობა კარგათ იცოდა...

— კვაჯი! აა, კვაჯი!

— ბატონი.

— შენი ჭირიმე მითხარი:

რას ნიშნავდა, რომ ჩვენს ძვირფასს მიცვალებულს ყველა ერთნაირათ ეუბნებოდა:

არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო?..

არ კი დამარხეს?!

როგორათ არ მომკვდარა?!

— ხა! ხა! ხა! გაიცინა კვაჯიმ.

— როგორ? შენ გგონია, რომ მიცვალებულზე ამბობდენ „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო“!?

— დიახ. მაშ,—ვისზე ამბობდენ?..

— აი, ჩემო გუჯუჯი!

ეს სიტყვები ეკუთვნის თვითონ აკაკის, მის დაწერილია.

ამ სიტყვებით დაიწყება ერთი მისი საუკეთესო ლექსი, რომელშიდაც თავის

სამშობლო—საქართველოზე ამბობს, რომ „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავსო“...

აქ კი ცოტა არ იყოს შემრცხვა... გავწითლდი და ჩემთვის გულში ვიფიქრე:

— ა, ვაი ჩემი ცოდო!

— ჰხედავთ!

ქართულის უცოდინარობამ სად ჩამჩეხა?!

თეოფ. ხუსკივაძე.

დ. ოჩამჩირე 1915 წ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 11 დეკემ. ბრიტანიის მთავარ-შტაბის ცნობა საფრანგეთიდან. პლოგსტრერტის ტყის მახლობლად გერმანელებმა იერიში მოიტანეს დილით ადრე ჩვენი სადარაჯოს წინააღმდეგ. გამოიდარა და არტილერიის სროლა განცხოველდა. ჩვენი არტილერია სჯობნიდა.

პარიზი. 11 დეკემ. ოფიციალური ცნობა დღისით. უკანასკნელად გამოქვეყნებულ ცნობის შემდეგ ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი. 11 დეკემ. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში არტილერიის მეტად ძლიერი სროლა სწარმოებდა. ლომბარდზიდის მახლობლად შეჯგუფებული გერმანელების ქვეითა ჯარი სროლით გავფანტეთ. სომსა და უაზს შუა ჩვენმა არტილერიამ დაანგრია ლასინიის დასავლეთით სიმაგრე და დააზიანა როლანდიის კოშკი. ვოგეზში გარტმანსვეილერკოფის წინააღმდეგ მტერმა მკაცრი სროლის შემდეგ იერიში მიიტანა მთელი იმ პოზიციის ხაზით, რომელიც ჩვენი წართმეული იყო, გარტმანსვეილერკოფის და ვატვილერის გზების შუა, მაგრამ მოვიგერიეთ.

ჰავრი. 11 დეკემ. ბელგიელების ცნობა. უამინდობა ხელს უშლიდა მოქმედებას ბრძოლის პირით. წარსულ ღამემ და დღევანდელმა დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

ლონდონი. 11 დეკემ. ოფიციალურად აცხადებენ: ინგლისის ჯარის დანაკლისი ყველა ბრძოლის ასპარეზით 26 ნოემბრამდე შემდეგია: 11,923 მოკლული, 338, 756 დაჭრილი და 69,546 უკვლოდ დაკარგული. მათში ოფიცრები: 7,367 მოკლული, 13,665 დაჭრილი და 2,149 უკვლოდ დაკარგული.

პარიზი. 12 დეკემბ. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ლომბარდიზეს რაიონში ორივე მხარე მკაცრ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდა. არტუაში ჩვენი არტილერია მარჯვედ ესროდა გერმანელების სანგრებს ანგრას სამხრეთით და არასის რაიონში. შამპანში ტაგიურიდან სომპში მიმავალ გზით გავფანტეთ გერმანელების სურსათის მზიდავი ურმები. საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ვოგეზში, სადაც გერმანელები უნაყოფოდ უშენდნენ ყუმბარებს გირცენშტეინის ბრძოლის პირს და გარტმანსვეილერკოფის ჩრდილოეთით კალთებს.

ჰავრი. 12 დეკემ. ბელგიელების ცნობა. ღამემ და დილამ მშვიდობიანად ჩაიარა. შუა დღის შემდეგ გერმანელებმა ჩვენ პოზიციის შუა ნაწილის წინააღმდეგ ოდნავ განაცხოველეს მოქმედება, მაგრამ უმალ შევაწყვეტინეთ სროლა. შემდეგ ჩვენმა არტილერიამ ვიკონთან დააზიანა გერმანელების თხრილები, დიქსმიუდის ჩრდილოეთით კი მნიშვნელოვანი სანგრები.

ლონდონი. 12 დეკემ. ინგლისელების მთავარი შტაბი საფრანგეთიდან იუწყება: 11 დეკემბერს ორივე მხარე განაგრძობდა სროლას უმთავრესად იპრის მიდამოებში.

პარიზი. 13 დეკემ. ოფიციალური ცნობა დღისით. ღამემ მთელის ბრძოლის პირით მშვიდობიანად ჩაიარა.

ბალკანეთის ასპარეზი.

პარიზი. 11 დეკემ. ბალკანეთი. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ბრძოლის პირით ცვლილება არ მომხდარა, სალონიკის ირგვლივ სიმაგრეების აგება კვლავ სწარმოებს ენერგიულად. მოპირდაპირე არ ცდილობს საბერძნეთის საზღვრის გადმოლახვას.

მოქმედება დარდანელში.

ღამემ და დილამ მშვიდობიანად ჩაიარა. 10 დეკემბერს დღით ჩვენმა მძიმე არტილერიამ ენერგიულად დაუშინა ყუმბარები ოსმალების სანგრებს და უპასუხებდა მათ სროლას ევროპის ნაპირიდან.

ცეტინიე. 6 დეკემ. ოფიციალური ცნობა 5 დეკემბრის თარიღით. მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენი პოზიციის წინააღმდეგ სოფ. ლიპოვაცის ახლოს ყველა იერიში მოვიგერიეთ. 50 დავატყვევეთ და ტყვიის-მტყორცნელი წავართვით. ბერანის და როჟაის მიმართულებით იერიშით წავედით და ვაიძულეთ ავსტრიელები როჟაისაკენ დაეხიათ, რამდენიმე დავატყვევეთ.

ცეტინიე. 10 დეკემბერი. „პრესბიურო“ იუწყება: ჩვენი სანჯაყის არმია შეტევას განაგრძობს და იერიში მიიტანა ლეპენაცთან; მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირე, მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა ბელოპოლიესაკენ უკუვაქციეთ; მათ ბრძოლის ველზე 500 მოკლული დასტოვეს; ტყვედ წამოვიყვანეთ 100 ავსტრიელი, მათში ერთი კაპიტანი. ბრძოლის პირის დანარჩენ რაიონში საარტილერიო სროლა და ქვეითა ჯარის შეტაკებანი.

ცეტინიე. 12 დეკემ. „პრესბიურო“ იუწყება: მოპირდაპირე ვერას გახდა 11 დეკემბრის ბრძოლაში. სანჯაყის რაიონში, ავსტრიელების იერიში ლეჩანის წინააღმდეგ მოვიგერიეთ; ავსტრიელებმა დაიჭირეს ურაშკოვის მთის პოზიცია, მაგრამ იერიშით უკან წავართვით, წავართვით მგრეხვი ტყვები და სამხედრო მასალა.

სოლუნი. 12 დეკემ. ბრძოლის პირით სიწყნარეა. მოკავშირეთ მოსდით მაშველი ჯარი, უმეტესად ინგლისელებისა. სერბების რაზმი, ორი ოფიცრის მეთაურობით მოვიდა.

სპარსეთში.

თეირანი. 11 დეკემბ. შაჰმა მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლითაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა პრინცი ფირმან-ფირმა, რუსეთისა და ინგლისის მომხრე.

თეირანი. 12 დეკემ. აქ მოსულ ცნობებით, მესოპოტამიაში ოსმალების შეტევა ინგლისელებს შეუჩერებიათ კუტელამარის წინ. ოსმალებს ბაღდადისაკენ დაუხევიათ. ინგლისელთა ჯარი ძლიერდება.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ ჩემი საგალანტერეიო საქონლის ვაჭრობა (მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოგანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან **გადავიტანე** იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.

14—9—6042 პატივისცემით **ილ. ტარ. მოწონელიძე.**

ქუთაისის განყოფილება

ამხ.-ბა **„პროვოდნიკი“.**

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.

საეტლო შინები საერთაშორისო მარკები „სლონ“ და „სვერხ-სლონ“

და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხამები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.**

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმეშიდაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფამდე.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იწერება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრულებით სადაც სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომლებიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერთგულებით **ია. ნ. კოლეგოვი**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან